An Oifig um Chosaint Idirnáisiúnta
International Protection Office

[ლოგო: საერთაშორისო დაცვის ოფისი]

აპლიკანტის ქცევის კოდექსი
ინფორმაცია თქვენი საერთაშორისო დაცვის ონლაინ ინტერვიუს შესახებ

თქვენ მოითხოვეთ საერთაშორისო დაცვა ამ სახელმწიფოში და მიაწოდეთ ამ ოფისს თქვენს კითხვარში არსებული ინფორმაცია თქვენს განაცხადთან დაკავშირებით. საერთაშორისო დაცვის ონლაინ ინტერვიუს მიზანი არის თქვენი განცხადების დეტალური განხილვა იმ ინფორმაციის საფუძველზე რომელიც უკვე წარადგინეთ, და ასევე იმ ინფორმაციის განხილვა, რომელსაც ინტერვიუს დროს მიაწვდით. ეს მოითხოვს დეტალურ გამოკითხვას თქვენს მიერ წარმოდგენილ კითხვარში წამოწეულ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, ნებისმიერ სხვა საკითხზე, რომელსაც ინტერვიუერი ჩათვლის საჭიროდ. ნებისმიერ კითხვაზე, რომელიც თქვენთვის გაურკვეველია, განმარტებისთვის უნდა მიმართოთ ინტერვიუერს.

გასაგებად და ზუსტად უნდა ახსნათ თქვენი შიშები, და მიაწოდოთ ყველა ინფორმაცია და დეტალი, რომელიც დაკავშირებულია თქვენს კონკრეტულ გარემოებებთან. ეს ინტერვიუ არის თქვენი შესაძლებლობა დეტალურად აუხსნათ თუ რატომ გაშინებთ თქვენი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება.

თქვენ ვალდებული ხართ სრულად ითანაშრომლოთ და იყოთ სრულიად გულახდილი. ინტერვიუერი შეინახავს თქვენი ონლაინ ინტერვიუს წერილობითი ჩანაწერს, რომელიც მოიცავს თქვენს განაცხადთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან და პოტენციურად მნიშვნელოვან ასპექტებს. ინტერვიუს ჩანაწერი წაგეკითხებათ და მოინიშნება შესაბამისი დროის მითითებით ონლაინ ინტერვიუს მიმდინარეობისას. ეს არის თქვენი შესაძლებლობა, შეასწოროთ ნებისმიერ დეტალი, რომელსაც მიიჩნევთ, რომ არასორად იყო დაფიქსირებული. თქვენ მოგთხოვენ, რომ ზეპირად დაადასტუროთ თქვენი თანხმობა ინტერვიუს ჩანაწერზე და ეს ასევე მოინიშნება შესაბამისი დროის მითითებით ჩანაწერზე. დროის შტამპი მიუთითებს ზეპირ დასტურს და აღნიშნავს შესაბამის დროს/თარიღს.

საერთაშორისო დაცვის ოფისი არავითარ შემთხვევაში არ დაუკავშირდება იმ ქვეყნის ხელისუფლებას, რომელსაც თქვენ ტოვებთ.

ინტერვიუს დასრულების შემდეგ, თქვენს განაცხადთან დაკავშირებით გაიცემა რეკომენდაცია. თუ ეს რეკომენდაცია უარყოფითი იქნება, თქვენ გექნებათ შესაძლებლობა გაასაჩივროთ იგი საერთაშორისო დაცვის სააპელაციო ტრიბუნალზე.

<u>**თარჯიმნის როლი:**</u> თარჯიმანი, თუ ის მონაწილეობს ინტერვიუში, ზუსტად გადათარგმნის ინტერვიუერის კითხვებს და თქვენს პასუხებს. თარჯიმანი არ მოგცემთ რჩევას და არც თქვენი საქმის გარემოებებზე გამოთქვამს რაიმე მოსაზრებას. თარჯიმანი აცნობიერებს ინტერვიუს კონფიდენციალურ ხასიათს. თარჯიმანს არ აქვს უფლება თქვენთან პირდაპირ საუბარში ჩაერთოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ინტერვიუერის მეშვეობით ხდება.

<u>**სამართლებრივი წარმომადგენელი**</u>: თქვენს სამართლებრივ წარმომადგენელს, თუ ის მონაწილეობს ინტერვიუში, შეუძლია გააკეთოს ჩანაწერები, მაგრამ მას არ აქვს უფლება შეაწყვეტინოს ინტერვიუ ან უპასუხოს თქვენთვის დასმულ კითხვებს. ინტერვიუს დასრულების შემდეგ, თქვენს სამართლებრივ წარმომადგენელს ჰკითხავენ თუ სურს

მას რაიმე კომენტარის გაკეთება.

ინტერვიუს დაწყებისას, თქვენ მოგთხოვენ დაადასტუროთ, რომ წაიკითხეთ და გაეცანით წინამდებარე დოკუმენტს.

აპლიკანტის სახელი:

თანხმობის თარიღი: დდ/თთ/წწწწ თანხმობის დრო: დდ/თთ/წწწწ